ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩაიდინა იმ პირმა, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევისათვის, აგრეთვე ორგანიზაციული მუშაობა აღნიშნული ქმედობის ჩასადენად, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 3 ოქტომბერი.